დანართი

სსიპ კოლეჯ მოდუსში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის წესი და პირობები

მუხლი 1. საფუძვლები და რეგულირების სფერო

1. სსიპ კოლეჯ „მოდუსის " პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებითა და წინამდებარე თავით, (ბოლო ცვლილება: 2024 წლის 24 ივნისი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანება №110/ნ)
2. წინამდებარე თავი სსიპ კოლეჯ „მოდუსის" (შემდგომში - კოლეჯი, დაწესებულება) კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესსა და პროცედურას, აგრეთვე კოლეჯის პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამაზე და არაფორმალური განათლების ფარგლებში განსახორციელებელ სასწავლო კურსებსა და პროგრამებზე პირთა ჩარიცხვის პროცედურას.
3. ამ წესის მიზანია პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის პროცესის რეგულირება, ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე დაყრდნობით.
4. პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
   ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
   ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
   გ) შერჩევა;
   დ)აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომ – მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
   ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
5. პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის მიზანია დეცენტრალიზებული, სტუდენტთა ინტერესებზე ორიენტირებული, ობიექტური და გამჭვირვალე მიდგომით, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მუხლი 2 დაინტერესებულ პირთა კონსულტირება

1. დაინტერესებული პირების კონსულტირება ხდება კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ;
2. დაინტერესებული პირის მიერ, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი დაინტერესებულ პირს:
   ა) გააცნობს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
   ბ) მიაწვდის ინფორმაციას კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ (კონკრეტულ პროგრამაზე დაშვებისა და შერჩევის წინაპირობები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები (არსებობის შემთხვევაში), დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა);
   გ) მიაწვდის ინფორმაციას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, დაეხმარება რეგისტრაციაში.
3. დაინტერესებულ პირებს, მიმართვის შესაბამისად, მთელი წლის განმავლობაში უწევს კონსულტირებას პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

მუხლი 3. კოლეჯის მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება და აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, კოლეჯში რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, ავსებს ელექტრონულ კითხვარს (ანკეტა-კითხვარს) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. ანკეტა-კითხვარში მიეთითება ინფორმაცია კოლეჯისა და იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომელზეც ცხადდება მიღება, ასევე - თითოეულ პროგრამაზე მისაღები ადგილების (მათ შორის სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მიღებისთვის განსაზღვრული ადგილებისა) და სხვა პირობების თაობაზე.
3. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, კოლეჯი მიღებას გამოაცხადებს ორი სასწავლო გეგმით (გეგმა, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს და სასწავლო გეგმა, რომელიც არ მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს), თუ თავისუფალი ადგილების რაოდენობა (ჯგუფის რენტაბელობის გათვალისწინებით) იძლევა ორი დამოუკიდებელი ჯგუფის ფორმირების საშუალებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი პრინციპით:

ა) პროგრამისათვის განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას აკლდება ამ პროგრამის აქტიური სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და მიღებული სხვაობა ემატება ამ პროგრამაზე სწავლის დაწყების დროისათვის დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობას;

ბ) აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება დაწესებულების მიერ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემების შესაბამისად, ანკეტა-კითხვარის შევსების დაწყების წინა დღის მდგომარეობით;

გ) დამამთავრებელი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა გამოითვლება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სწავლის დაწყების თარიღის მდგომარეობით, პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში არსებული მონაცემების შესაბამისად.

5. **რეიტინგული სიების დაწესებულებისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი უფლებამოსილია მისაღები ადგილები გაზარდოს შესაბამის პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების რაოდენობის ფარგლებში.**
6. ყველა პროგრამა (გარდა გარდა იმ პროგრამებისა, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში), რომელზეც შესაბამის წელს გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა <u>ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში.</u>
7. კოლეჯის იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების მიღება შესაძლებელია პროგრამის თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციის წინასწარი თანხმობით.
8. კოლეჯი უფლებამოსილია, აპლიკანტთა რეიტინგული სიების მისთვის ხელმისაწვდომობიდან ორი სამუშაო დღის ვადაში, მისაღები ადგილების რაოდენობა გაზარდოს პროგრამაზე არსებული თავისუფალი ადგილების ფარგლებში. ამ მიზნით, დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განათავსებს შესაბამის ინფორმაციას განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, იმავე დღეს.
9. აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში და მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პირობებით.
10. რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს <u>არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.</u>
11. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს

პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო პორტალზე გააკეთოს შესაბამისი არჩევანი (სისტემის მიერ დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე შეთავაზებული პროგრამების ფარგლებში).

12. სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა, გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ნაწილობრივ ბათილად ცნობის საფუძველი;
13. აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი დირექტორს წარუდგენს ინფორმაციას პროგრამაზე რეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობის, არაქართულენოვანი აპლიკანტების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების, აგრეთვე, იმ აპლიკანტების შესახებ, რომლებსაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის ბრძანების 23-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვთ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ტესტირების გარეშე ჩაირიცხონ.

მუხლი 4. საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (მათ შორის საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზეც, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები) აპლიკანტთა შეჩევა.

1. აპლიკანტთა შერჩევა მოიცავს პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შეფასებას.
2. კოლეჯის დირექტორი შერჩევის განხორციელების მიზნით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით ქმნის შესარჩევ კომისიას/კომისიებს.
3. შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კოლეჯი აცხადებს მიღებას უცხოენოვან პროგრამებზე;
4. აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით/აქტებით, ხოლო კოლეჯში აპლიკანტის შერჩევის პროცედურის დაწყების და დასრულების ვადებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით
5. აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით, რომელიც არეგულირებს:
   ა) შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
   ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს;
   გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
   დ)შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
   ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
   ვ) საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
   ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
6. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღების შესახებ ინფორმაციას, შესაბამის პროგრამაზე, აპლიკანტთა შერჩევის კომისია შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 3 დღით ადრე, აცნობებს აპლიკანტს, აპლიკანტის მიერ, რეგისტრაციისას მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე.
7. კოლეჯის მიერ ორგანიზებული შეფასების თარიღები, შეფასების თარიღის დადგომამდე <u>არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა თავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე.</u> ხოლო კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ აისახება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
8. აპლიკანტი ვალდებულია შერჩევის პროცედურის ჩატარების დღეს, პროცესის დაწყებამდე გამოცხადდეს კოლეჯში, თან იქონიოს სარეგისტრაციო ფურცელი და პირადობის

დამადასტურებელი მოწმობა, 16 წლის ასაკამდე მიუღწეველი აპლიკანტის შემთხვევაში, აპლიკანტმა კოლეჯში უნდა წარადგინოს სარეგისტრაციო ფურცელი და დაბადების მოწმობა.

9. აპლიკანტს, რომელიც კოლეჯის მიერ განსაზღვრულ თარიღში ვერ ახერხებს კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე გამოცხადებას, უფლება აქვს, შეფასების თარიღამდე არაუგვიანეს 2 დღით ადრე, კოლეჯს მომართოს წერილობითი განცხადებით, განსხვავებულ თარიღში შეფასების მოთხოვნით. შესაძლებელია განცხადების ელექტრონული ფორმით წარმოდგენა მისამართზე info@modusi.ge.
10. საპატიო მიზეზი, რომელიც აპლიკანტს აძლევს განსხვავებულ თარიღში შეფასების უფლებას, არის:
    ა) ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც გამორიცხავს შეფასების პროცესში აპლიკანტის ჩართვის შესაძლებლობას;
    ბ) სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების თარიღების დამთხვევა.
    გ) სხვა ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავს კოლეჯის მიერ დადგენილ თარიღში შეფასების პროცესში აპლიკანტის ჩართვის შესაძლებლობას.
11. აპლიკანტი, რომელიც ვერ ახერხებს კოლეჯში გამოცხადებს, შესაძლოა, შეფასდეს დისტანციური კომუნიკაციის პლატფორმის გამოყენებით.
12. აპლიკანტის შეფასების განსხვავებული თარიღები განისაზღვრება კოლეჯის მიერ დადგენილი შერჩევის ვადების ფარგლებში.
13. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შერჩევის თარიღამდე განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას , წარდგენის ვადებს და შერჩევის პროცედურებს.
14. შერჩევა ხორციელდება გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის და შემთხვევის განხილვის (ქეისი) მეთოდით, რომელთა ჩატარების პერიოდი მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო ჩატარების განრიგი მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ყოველი მიღებისთვის ინდივიდუალურად;
15. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩასარიცხად, კოლეჯის შიდა შეფასების მექანიზმებთან ერთად, <u>მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია, აპლიკანტთა შეფასება განხორციელდეს სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული აკადემიური უნარების ტესტირების საფუძველზე</u>
16. იმ საშუალო პროფესიულ პროგრამისთვის, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება, მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგებისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და სოციალური სტატუსის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
17. აპლიკანტი შესარჩევი კომისიის მიერ ფასდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესარჩევი **შეფასების ფორმის** შესაბამისად. (იხ. დანართი N2);
18. შერჩევისას კომისია ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოს ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
19. თითოეულ საბაზო და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ეცნობება აპლიკანტს, გონივრულ ვადაში;
20. შეფასება ხორციელდება შერჩევის პერიოდში და აისახება დაწესებულების მიერ სარეგისტრაციო სისტემაში, განთავსდება ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.
21. <u>შესარჩევი კომისიების</u> ფორმირების, მათი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებდეს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.

22. დაწესებულება განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს და სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების დიფერენცირებულ შედეგებს შერჩევის პერიოდშივე.

მუხლი 5. შერჩევა უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება

1. კოლეჯის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და იმ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე, სადაც შერჩევის მეთოდად განსაზღვრულია ტესტირება აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისა და კოლეჯის მიერ ორგანიზებული შიდა შერჩევის საფუძველზე. კოლეჯის შიდა შერჩევის წესი და პირობები რეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. დაწესებულება უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეფასების გარდა, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს შეფასების დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს:
   ა) შერჩევის ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას;
   ბ) შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირებას;
   გ) შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს;
   დ) შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს;
   ე) აპელაციის წესსა და ვადებს;
   ვ) აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
   ზ) დაწესებულების მიერ განსაზღვრულ სხვა პირობებს.
3. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირების ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, დაწესებულების მიერ ორგანიზებულ შეფასებაზე თითოეულ პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ასევე შერჩევის დამატებითი მექანიზმები, რომელიც არეგულირებს: შეფასების ვადებს და ამ ვადების სარეგისტრაციო სისტემაში ასახვას; შეფასების თარიღების შესახებ აპლიკანტთა ინფორმირების ფორმებს; შეფასების მეთოდებსა და ეტაპებს; შესარჩევი და სააპელაციო კომისიების ფორმირების, მათი მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესს; აპელაციის წესსა და ვადებს და აპლიკანტისთვის განსხვავებულ თარიღში შეფასების უზრუნველყოფის წესსა და პირობებს;
5. ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ადგენს ცენტრის დირექტორი.
6. დაწესებულების შეფასება უნდა იყოს დიფერენცირებული და დაწესებულება განსაზღვრავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ინდივიდუალურად თითოეული პროგრამისთვის ანკეტა - კითხვარის შევსების დროს;
7. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს ცენტრის მიერ ორგანიზებული ტესტირებისთვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარს დაწესებულება უფლებამოსილია არ დაუშვას აპლიკანტი შეფასებაზე, ხოლო თუ აპლიკანტი ვერ გადალახავს დაწესებულების მიერ დადგენილ პროგრამაზე დაშვების მინიმალურ ზღვარს, იგი დაკარგავს ჩარიცხვის უფლებას.
8. მართვის სისტემა უზრუნველყოფს ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების შედეგების განთავსებას ერთიან სკალაზე, მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული მეთოდით. თითოეული შეფასების შედეგის ხვედრითი წილი საბოლოო შედეგის გაანგარიშებისას არის 50%.
9. უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის მართვის სისტემა რეიტინგულ სიას ადგენს, ტესტირებისა და დაწესებულების შეფასების საბოლოო შედეგების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სოციალური სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით,

რომელსაც მართვის სისტემის უფროსი ამტკიცებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. უმაღლეს პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან უმაღლესი განათლება.
11. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთაც გადალახული აქვთ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
12. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
13. კოლეჯი უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში;
14. მართვის სისტემა სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
ა) დაწესებულებისთვის რეიტინგულ სიაში აპლიკანტთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;
ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით რეიტინგული სიების შედგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 6 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვა

1. კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით რიცხავს აპლიკანტებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და აფორმებს ხელშეკრულებას აპლიკანტთან/კანონიერ წარმომადგენელთან/მხარდამჭერთან, აპლიკანტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
2. დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტები ჩარიცხოს პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
3. უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:
ა) 70%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
ბ) 30%-ის ფარგლებში, იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
4. აპლიკანტის მიერ ჩასარიცხად წარსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და ვადები მტკიცდება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით პროგრამაზე დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით ;
5. დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.

6. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი, ასევე შემდეგი აპლიკანტი იკავებს ადგილს, აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში.
7. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
8. თუ ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს პროგრამისთვის შესაბამის მიღებაზე განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული ადგილების რაოდენობა მოაკლდება ამავე პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის განსაზღვრულ ადგილებს.
9. პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის სტატუსის მინიჭებას, აგრეთვე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს კოლეჯის ოფიციალურ ვებ გვერდზე, განათავსებს კოლეჯშის შენობაში ღიად, ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას ან/და აცნობებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით მის მიერ რეგისტრაციის დროს მითითებულ ნომერზე;
10. იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯი აცხადებს სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტთა მიღებას იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტები გაივლიან შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილ შეფასების პროცედურას
11. კოლეჯი უფლებამოსილია თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, ინტეგრირებულ პროგრამაზე მისაღები ადგილების ფარგლებში დარჩენილი თავისუფალი ადგილების რაოდენობა გამოიყენოს მეორე სასწავლო გეგმით განხორციელებულ პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით, ავტორიზაციის საბჭოს მიერ ამ პროგრამაზე შესაბამისი სასწავლო გეგმისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში;
12. კოლეჯი აპლიკანტთა ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

მუხლი 7 პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვა

1. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლება შესაძლოა მიენიჭოთ:
   ა) უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეებს;
   ბ) საქართველოს მოქალაქეებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს უცხო ქვეყნის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ან ჩარიცხვის წინა წელს და რომელთა განათლება აღიარებულ იქნა კანონმდებლობით დადგენილი წესით;
   გ) საქართველოს მოქალაქეებს და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 2013 მუხლით გათვალისწინებულ პირებს, რომლებმაც ზოგადი განათლების საშუალო საფეხური დაასრულეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით;
   დ) თავშესაფრის მაძიებელ, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე ვრცელდება რეგისტრაციისთვის ამ წესით განსაზღვრული პირობები, ხოლო შერჩევის წესი და პირობები განისაზღვრება დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

3. პროგრამაზე ტესტირების გავლის გარეშე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, რეგისტრაციის დროს, პირი ვალდებულია სისტემაში ატვირთოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი.
4. მართვის სისტემა, აპლიკანტთა შესაბამისი სტატუსების შესახებ ინფორმაციას, რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, გამოითხოვს გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან, ხოლო „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტიდან.
5. დაწესებულება ვალდებულია აპლიკანტების ჩარიცხვის შესახებ გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ ინფორმაცია და ასახოს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვა.

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები ჩაირიცხებიან კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. ყველა პროგრამა, რომელზეც გამოცხადებულია მიღება, ასევე, ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთათვის, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ, გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში,
3. პირს, რომელსაც მულტიდისციპილინური გუნდის მიერ დადასტურებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსი და დადგენილი წესით გავლილი აქვს პროფესიული ორიენტაცია, უფლება აქვს ჩარიცხვის მიზნით სარეგისტრაციო სისტემაში გააკეთოს შესაბამისი არჩევანი. სისტემა უზრუნველყოფს პირისათვის მხოლოდ იმ პროგრამების შეთავაზებას, რომელზე ჩარიცხვის მიზნითაც პირის მიმართ გაცემულია დადებითი რეკომენდაცია.
4. კოლეჯი განიხილავს მულტიდისციპილინური გუნდის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.
5. რეგისტრირებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა შერჩევა წარიმართება კოლეჯის დირექტორის მიერ დადგენილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისად, პრაქტიკული მოსინჯვის საფუძველზე.
6. პრაქტიკული მოსინჯვა გულისხმობს პირის მიერ პროგრამისთვის ყველაზე დამახასიათებელი აქტივობის/აქტივობების პრაქტიკულ შესრულებას მის ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ პირობებში, რომელსაც თან ახლავს რეფლექსიის პროცესი და რომელიც ემსახურება აპლიკანტის მიერ საკუთარ შესაძლებლობებსა და პროფესიულ ინტერესებში უკეთ გარკვევას, ისევე, როგორც პრაქტიკულ მოსინჯვაზე დამკვირვებლების მიერ კონკრეტულ პროფესიასთან/პროგრამასთან მიმართებით პირის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრას.
7. პრაქტიკული მოსინჯვის შეფასების შედეგებს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, მიწოდებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა.
8. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს. ამასთან, დაწესებულებას უფლება აქვს განსაზღვროს დამატებითი პირობები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.
9. საჭიროების შემთხვევაში, აპლიკანტმა (აპლიკანტის წარმომადგენელმა) უნდა წარმოადგინოს ამ პირის სპეციალური საჭიროებების გარემოებების დამდგენი დოკუმენტი.

10. კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის შესახებ;
11. სწავლის დაწყების თარიღამდე, კოლეჯის რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ მონაცემებს ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
12. 2024 წელს, დაწესებულების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტების პრაქტიკული მოსინჯვის ვადების განსაზღვრისას, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს აპლიკანტთა რეგისტრაციის დასრულებამდე პერიოდიც, იმ დათქმით, რომ ყველა აპლიკანტს ექნება პრაქტიკული მოსინჯვის გავლის შესაძლებლობა. (გარდამავალი დებულება);
13. 2024 წელს, პროგრამაზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ჩარიცხვის მიზნით, მულტიდისციპლინური გუნდი, მიმართვიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის სტატუსით რეგისტრირებული აპლიკანტის შეფასებას, ამ აპლიკანტის შეფასების დასკვნის მომზადებას და სარეგისტრაციო სისტემაში დასკვნის განთავსებას, რომლითაც დასტურდება აპლიკანტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება, მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა ასევე მიეწოდება შეფასებულ პირს/მის კანონიერ წარმომადგენელს და შედეგი (სტატუსის მინიჭება ან მინიჭებაზე უარი) აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.(გარდამავალი დებულება);
14. 2024 წელს, პირის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურების მიზნით შეფასება არ ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების დასკვნა, რომლის მომზადებიდან არ გასულა 3 წელი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპლიკანტი/აპლიკანტის კანონიერი წარმომადგენელი ითხოვს განმეორებით შეფასებას ან მულტიდისციპლინური გუნდი საჭიროდ მიიჩნევს განმეორებით შეფასებას. თუ ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში არ ხდება აპლიკანტის განმეორებითი შეფასება, გამოყენებული უნდა იქნეს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასებისთვის განსაზღვრული წესით შედგენილი ბოლო დასკვნა.(გარდამავალი დებულება);
15. თუ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირს, 2024 წელს გამოცხადებული მიღების ფარგლებში რეგისტრაციისას რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა აქვს არჩეული, შედეგების აპლიკანტისთვის ხელმისაწვდომობის შემდეგ, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში ირჩევს მის მიერ რეგისტრაციისას მითითებული იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიდან ერთ-ერთს, რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება და დაწესებულებაში წარადგენს აღნიშნულ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულ დოკუმენტებს.(გარდამავალი დებულება)

მუხლი 10 ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტები

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტმა (საჭიროების შემთხვევაში, მისი წარმომადგენელი) უნდა წარმოადგინოს:
   ა) წერილობით განცხადება, კონკრეტულ პროგრამაზე ჩარიცხვის მოთხოვნით;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან ცნობა განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევის შესახებ.
2. აპლიკანტმა, რომელმაც უცხოეთში/საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღო განათლება, უნდა წარმოადგინოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი მიღებული განათლების აღიარების შესახებ.
3. გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, წარმომადგენლის მეშვეობით დოკუმენტაციის წარმოდგენისას (ასევე, არასრულწლოვანი აპლიკანტის) წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) წარმომადგენლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი (აპლიკანტის დაბადების მოწმობა / ნოტარიულად დადასტურებული მინდობილობა).

4. შეზღუდული ქმედუნარიანობის / მხარდაჭერის მიმღები / ქმედუუნარო აპლიკანტის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს:
ა) საკუთარი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) აპლიკანტის შეზღუდული ქმედუნარიანობის / მხარდაჭერის მიმღებად ცნობის / ქმედუუნარობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
გ) წარმომადგენლობის / მეურვეობის / მზრუნველობის / მხარდამჭერის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი /აპლკანტის წარმომადგენელი, ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომლითაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლობდა ცალკეულ კლასში / სემესტრში ან საფეხურის ბოლო კლასში, რომელიც დამოწმებული იქნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სამუშაო ჯგუფის ან/და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ხელმოწერებით;
ბ) ცნობა სენსორული (სმენის და მხედველობის) დარღვევის შემთხვევაში:
გ) ცნობა აუდიოგრამას (სმენის დარღვევისას);
დ) ოფთალმოლოგის მიერ გაცემულ ცნობა (მხედველობის დარღვევისას);
ე) შესაბამისი სპეციალისტის მიერ გაცემულ სამედიცინო ცნობა, ქცევითი და ემოციური აშლილობისას;
ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელ დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაცია მიიღება კოლეჯის ადმინისტრაციის მისამართზე (ქ, რუსთავი, შარტავას ქ. N4, მარნეულის მუნიციპალიტეტი - იაღლუჯის დასახლება)
7. ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 10. ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძვლები

1. აპლიკანტს, შესაძლოა უარი ეთქვას კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვაზე, თუ მან სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია განათლების მიღწეული დონის შესახებ.
2. აპლიკანტი არ ჩაირიცხება კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, თუ ის დადგენილ ვადაში არ წარმოადგენს დოკუმენტაციას ან თუ საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ არჩეულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამაზე რეიტინგულ სიაში მისი ადგილის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში არ აირჩევს ერთ საგანმანათლებლო პროგრამას.

მუხლი 11. შედეგების გასაჩივრება - აპილაციის წესი

1. რეიტინგული სიის გამოქვეყნებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში აპლიკანტი უფლებამოსილია მიღებული შედეგი გააპროტესტოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი **სააპელაციო კომისიაში;**
2. **სააპელაციო კომისიის** ფორმირება ხდება დირექტოტის ინდივიდუალურ სამართლებლივი აქტით **შეფასების კომისიებთან** ერთად. მისი მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების წესი გამორიცხავს მხოლოდ დაწესებულების წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ითვალისწინებს დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციების მონაწილეობას.

3. **სააპილაციო კომისია იქმნება** იმ პირებისგან, ვინც არ მონაწილეობდა საჩივრის წარმომდგენი სტუდენტის შეფასებაში და მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებლივი აქტით.
4. დირექტორი, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, მოიწვევს სააპილაციო კომისიას, რომელიც უნდა შედგებოდეს ხუთი წევრისაგან და რომლის შემადგენლობაშიც უნდა მონაწილეობდეს იურისტი, ასევე - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელები (არანაკლებ 3 წევრისა).
5. სააპილაციო კომისიას თავმჯდომარეობს კოლეჯის დირექტორი, კომისიაში არ შეიძლება შედიოდეს პირი, რომელიც მონაწილეობდა აპლიკანტის შეფასების პროცესში/შერჩევის კომისიის წევრი.
6. სააპილაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს, ზეპირი მოსმენის საფუძველზე, განცხადების წარდგენიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა და აცნობებს განმცხადებელს (მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე/ელ. ფოსტაზე).
7. სააპილაციო კომისია უფლებამოსილია გააუქმოს შერჩევის კომისიის შეფასება და დანიშნოს აპლიკანტის შეფასების ახალი თარიღი, თუ მიიჩნევს, რომ აპლიკანტის შერჩევის ეტაპზე არსებითად დაირღვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის N42/ნ ბრძანებით გათვალისწინებული აპლიკანტთა შერჩევის პროცედურა.
8. სააპილაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

მუხლი 12 კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტებს შორის ხელშეკრულების გაფორმება

1. კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტსა/პროფესიული სტუდენტის წარმომადგენლსა და კოლეჯს შორის ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, სწავლის დაწყების თარიღამდე.
2. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში, ასევე, ფორმდება ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტს (პროფესიული სტუდენტის წარმომადგენელს), კოლეჯსა და პროგრამის თანაგანმახორციელებელ დაწესებულებას შორის. განსაზღვრულ შემთხვევებში, დასაშვებია, ხელშეკრულება არსებობდეს მხოლოდ პროგრამის თანაგანმახორციელებელსა და პროფესიულ სტუდენტს შორის.
3. აპლიკანტთან კოლეჯში ჩარიცხვისა და მის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება კოლეჯის დირექტორსა და პროფესიულ სტუდენტს შორის.
4. ხელშეკრულება პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯის დირექტორს შორის /არასრულწლოვანი, ქმედუუნარო / შეზღუდულქმედუნარიანი აპლიკანტისათვის პროფესიული სტუდენტის მშობელს და/ან მის კანონიერ წარმომადგენელსა და კოლეჯის დირექტორს შორის/ იდება ერთხელ და ის მოქმედებს სწავლების მთელი დროის განმავლობაში.
5. პროფესიულ სტუდენტთან ხელშეკრულების გაფორმებაზე პასუხისმგებელი პირი არის კოლეჯის იურისტი, რომელიც ასევე წარმოადგენს ხელშეკრულებაზე ხელმომწერ პირს, დირექტორის შესაბამისი სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე;
6. ხელშეკრულების შინაარსი მოიცავს ხელშეკრულების საგანს - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელზეც პროფესიული სტუდენტი არის ჩარიცხული, მხარეთა უფლებებს და ვალდებულებებს, სამართლებრივი აქტების ჩამონათვალს, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს კოლეჯში სწავლის პერიოდში პროფესიული სტუდენტი, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და მისი შეწყვეტის წესს, სხვა დებულებებს.

მუხლი 13. სსიპ კოლეჯი მოდუსის პროფესიული მომზადების პროგრამაზე/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მოკლევადიან სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი (განსაზღვრულია სსიპ კოლეჯი მოდუსის ბრძ. N242, 15/09/2021წელი)

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

2024 წლიდან პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით:

1. კოლეჯი უფლებამოსილია შერჩევა განახორციელოს ეროვნული უმცირესობის ენაზე (რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენებზე). დაწესებულება ვალდებულია ამ გზით ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისთვის პროგრამაზე სწავლება დაიწყოს ქართული ენის მოდულით. ქართული ენის მოდულის დაუძლევლობის შემთხვევაში, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი. ქართული ენის მოდულის დაძლევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სარგებლობს გარდამავალი (მომლოდინე) პროფესიული სტუდენტის სტატუსით და უფლებამოსილია:
   ა. სწავლა განაგრძოს იმავე პროგრამაზე, რომელზეც განხორციელდა მისი ჩარიცხვა. ამ შემთხვევაში, მას პროფესიული სტუდენტის სტატუსი გაუაქტიურდება პირადი განცხადების საფუძველზე, შემდგომი მიღების ფარგლებში ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ სწავლის დაწყებისთანავე;
   ბ. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პირადი განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მობილობის წესის“ შესაბამისად ისარგებლოს შიდა ან გარე მობილობით;
   გ. შეინარჩუნოს მის მიერ მოპოვებული სამართლებრივი მდგომარეობა.
2. დაწესებულება უფლებამოსილია პროფესიულ სტუდენტს პროგრამაზე სწავლა დააწყებინოს ქართული ენის მოდულის გავლის გარეშე, იმ შემთხვევაში თუ პროგრამით (რომელზეც მოიპოვა ჩარიცხვის უფლება) გათვალისწინებული მოდულით/მოდულებით დადგენილი ენობრივი კომპეტენცია დადასტურდება მის მიერ, დაწესებულების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.